# პროექტის ფაქტები

Funded by the European Union

**აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლა საქართველოში**



**განხორციელების ვადა:** 13.11.2017 - 30.09.2024

**EaP ქვეყნები:**
აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველოს, სომხეთი, უკრაინა

**ევროკავშირის წვლილი:** € 8 980 000

**მთლიანი ბიუჯეტი:** € 8 980 000

**განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):**
UNOPS

**სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:**

**პროექტის ვებსაიტები:** eapeuropeanschool.eu

**პროექტის აღწერა:**

ევროპული სკოლის ხედვა აღმოსავლეთ პარტნიორობისთვის - ეს არის ხარისხიანი განათლება პარტნიორი ქვეყნების მოსწავლეებისთვის, მეტი შესაძლებლობები, თანამშრომლობის და ფუნდამენტური ფასეულობების მხარდაჭერა და ევროკავშირის არსის უკეთესად გაგების მხარდაჭერა.  ამ პირველ, საპილოტე ფაზაში პროექტი აყალიბებს პარტნიორულ ურთიერთობას თბილისში არსებულ სკოლასთან, და სთავაზობს აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსი ქვეყნის მოსწავლეებს სტიპენდიებს საერთაშორისო ბაკალავრიატის პროგრამისთვის, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება ევროპეისტიკას მიექცევა.

**მოსალოდნელი შედეგები:**

პირველი საპილოტე ფაზის ძირითადი საქმიანობაა:
- პარტნიორული ურთიერთობის დამყარება თბილისში მდებარე საერთაშორისო სკოლასთან (ახალი სკოლა, საქართველო) საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით.
- საერთაშორისო ბაკალავრიატის სასწავლო პროგრამის მოდიფიკაცია მასში ევროპეისტიკის კონკრეტული ელემენტების შეტანის მიზნით. მოდიფიკაცია განხორციელდება საერთაშორისო ბაკალავრიატის საბჭოს ხელმძღვანელობით და ევროპული სკოლების გენერალური მდივნის (EURSC) მხარდაჭერით.
- სასტიპენდიო სქემის შემუშავება და მართვა საწყისი ფაზისთვის, ყოველწლიურად 30-მდე მოსწავლის მოცვით.
- მასწავლებლების ტრენინგი სპეციალიზებული პროგრამის სწავლებისთვის მოსამზადებლად.
- სავიზო მხარდაჭერის უზრუნველყოფა, მოსწავლეთა მობილობის და უსაფრთხოების მხარდაჭერა.
- ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების კვლევა პროექტის მეორე ფაზისთვის, რომელშიც სწავლების პროცესი, სავარაუდოდ, ახლად აშენებულ სკოლაში გადაინაცვლებს, და მთლიანად ევროპული სკოლების სასწავლო პროგრამის საფუძველზე განხორციელდება.